Rustavi
Metallurgical
Plant
est. 1948

**Rustavi Steel LLC**
12 Gagarini Str., 3700, Rustavi, Georgia
Tel: +99532 2 606699
Fax: +99532 2 606699 (3030)
contacts@rustavisteel.ge
www.rustavisteel.ge

№ 135 11/03/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „რუსთავის ფოლადი", ქ. რუსთავში, რუსთავის წიდასაყარის ტერიტორიაზე გეგმავს: დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსების; ნარჩენების აღდგენის; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის; სახიფათო ნარჩენების განთავსების და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავების საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას.

ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების ნაწილი განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" I დანართის და ნაწილი II დანართის საქმიანობებს და ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული ისეთი საქმიანობების განხორციელებას, რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია წარუდგინოს სამინისტროს საერთო სკოპინგის ანგარიში და მოითხოვოს ერთი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა ამ კოდექსის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ შპს „რუსთავის ფოლადი"-ს „დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენების განთავსების; ნარჩენების აღდგენის; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაციის; სახიფათო ნარჩენების განთავსების და სახიფათო ნარჩენების ქიმიური დამუშავების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის" სკოპინგის ანგარიშს.

დანართი: 1. სკოპინგის ანგარიში (ნაბეჭდი ვერსია) - 1 ეგზ.

2. საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და სკოპინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.

3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

პატივისცემით,

დირექტორი

ნუგზარ კარუხაშვილი

შპს „რუსთავის ფოლადი" 404411908 LLC "RUSTAVI STEEL"

№ 4874 19-03-2020 1/СБ